ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N44

(ავტოტექნიკური მომსახურების და საქონლის მიწოდების შესახებ)

ქ. ბათუმი

21 აგვისტო 2018 წ.

ერთი მხრივ შპს „სტადიონი" (ს/კ 445409415) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ჭურკვეიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ სს „ლიონ ავტო" (ს/კ 404488979) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, გიორგი ფალიანის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტისა და მსუბუქი ავტომანქანის სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (SPA180005919) ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ ავტომობილის ფლობის ღირებულების კომპონენტზე (100 ათას კილომეტრზე ავტომანქანის ექსპლუატაციით გამოწვეული საგარანტიო მომსახურების ღირებულება) წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებას ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების შესახებ (შემდგომ „ხელშეკრულება")

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, მიმწოდებლის მიერ შემდეგი სახის მომსახურების გაწევა: მხარეთა შორის შეთანხმებული პერიოდულობით ან/და შემსყიდველის საჭიროებისამებრ, შემსყიდველის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის, ავტოტექნიკური მომსახურების გაწევა, საჭიროებისამებრ ავტოსათადარიგო ნაწილებითა და სხვა მასალით უზრუნველყოფის ჩათვლით (შემდგომში "მომსახურება") ან/და შემსყიდველისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, აქსესუარებისა და დეტალების მიწოდება, ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (შემდგომში "საქონელი").

1.2. გასაწევი მომსახურებისა და ავტონაწილების ჩამონათვალი და ფასი მოცემულია დანართ #1-ში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.3. მომსახურების გაწევა შესაძლებელია:

- ქ.თბილისში - ჯორჯ-ბალანჩინის 34 (პეჟოს ცენტრი)
- ქ.ბათუმში - ლერმონტოვის 107 -ის მიმდებარედ

1.4. CPV კოდი: 50100000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3250 (სამი ათას ორასორმოცდაათი) ლარს.

2.2. გასაწევი მომსახურებისა და ავტონაწილების ცალკეული ჩამონათვალი და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ #1-ში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1. მომსახურება განახორციელოს სრულად, ჯეროვნად, შეთანხმებული ხარისხისა და აღიარებული სტანდარტის დაცვით მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში.

3.2. მომსახურების გაწევის პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები გონივრულობისა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

შემსყიდველი ვალდებულია

3.3. მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში მიმწოდებლისაგან მიიღოს გაწეული ხარისხის მომსახურება ან/და მიწოდებული საქონელი მათთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტთან ერთად.

3.4. იმ შემთხვევაში თუ შმესყიდველს მომსახურების მიღება სურს ქ.ბათუმში ან ქ.ქუთაისში ამის შესახებ წინასწარ 2 დღით ადრე უნდა აცნობოს მიმწოდებლის წარმომადგენლებს

- შოთა ელიზბარაშვილს - shota.elizbarashvili@peugeotauto.ge 577 04 12 44
- ლაშა შიხაშვილს - lasha.shikhashvili@peugeotauto.ge 577 82 88 22

3.5. გადაიხადოს გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის საზღაური მხარეთა შორის შეთანხმებული წესითა და პირობებით.
3.6. მომსახურების მიღებისას განახორციელოს ავტომანქანის შემოწმება და კონტროლი პირადად ან გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
4.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს პერიოდულად, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების/საქონლის მიწოდება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით;
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული პირი.

6. მიწოდების ვადა

6.1 მომსახურების/საქონლის მიწოდების საერთო ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.
6.2. მიმწოდებელი ვალდებულია დანართი 1 -ით განსაზღვრული ცალკეული მომსახურების/საქონლის მიწოდება განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამი) სამუშაო დღის ვადაში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული პირი.
7.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.
7.3. გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მიმწოდებელს 6.2. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით.
8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმიწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.4. შემსყიდველს 4.2. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების

პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) თუ ხელშეკრულების 8.2. პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,4%-ს;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.2. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 7 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 10.1. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

11.2. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

11.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ორი სამუშაო დღის ვადაში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის შესახებ.

11.4. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11.5. თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები გაგრძელდა 90 (ოთხმოცდაათი) დღეზე მეტხანს, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია უარი თქვას ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე და არცერთ მხარეს არ ექნება მეორე მხარისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე

მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

13.7. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი	**დამკვეთი**
სს "ლიონ ავტო"	შპს „ სტადიონი"
ბანკი: საქართველოს ბანკი	ს/კ 445409415
ანგ. ნომ: GE62BG0000000916135400	დირექტორი: ზურაბ ჭურკვეიძე
გენერალური დირექტორი: გიორგი ფალიანი	
ხელმოწერა	ხელმოწერა

	ავტოტექნიკური ძოშსახურების და საქონლის შიწოდების შესახებ ხელშეკრულება # 6.08.2018./1
	დანართი # 1

#	სათადარიგო ნაწილების დასახელება	ერთ ჯერზე შესაცვლელი საქონლის რაოდენობა/განზომილება	ერთ.ფასი GEL	სერვისის ღირებულება GEL	3000კმ	11000კმ	19000კმ	27000კმ	35000კმ	43000კმ	51000კმ	59000კმ	67000კმ	75000კმ	83000კმ	91000კმ	99000კმ	ჯამი
1	ძრავის ზეთი	4 ლ	20	10	90	90	90	90	90	90	90	90	90	90	90	90	90	1170
2	ზეთის ფილტრი	1ც	20	0	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	20	260
3	ჰაერის ფილტრი	1ც	35	10			45			45			45			45		180
4	წინა სამუხრუჭე ხუნდა	1 კომპ	150	15			165			165			165			165		660
5	უკანა სამუხრუჭე ხუნდა	1 კომპ	200	40											240			240
6	სალონის ფილტრი	1 ც	50	20					70					70				140
7	ძრავის ღვედი	1 კომპ	150	170						140					140			280
8	ანთების სანთელი	1 კომპ	100	40											320			320
	ჯამი ლარში:		725	305	110	110	320	110	180	460	110	110	320	180	810	320	110	3250

გენერალური დირექტორი
გიორგი ფალიანი

სს "ლიონ ავტო" * JSC "LION AUTO" * 404488979